

**სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები**

# EG/MOPED/TPL 2021/V1

ქ. თბილისი

1 აპრილი 2021 წელი

წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები, დაზღვევის განაცხადთან და სადაზღვევო პოლისთან ერთად განიხილება ერთობლიობაში.

ერთი მხრივ, სს "სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია", სვ: 204491344 (შემდგომში „მზღვეველი“), წარმოდგენილი კომერციული დირექტორის მოადგილის ლერი პეტრიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „მერკური“ სვ: 405372779 (შემდგომში „დამზღვევი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ქოიავას სახით, შემდგომში ორივე ერთად „მხარეებად“ მოხსენიებული, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებს შემდეგზე:

**1. ტერმინთა განმარტება**

- 1.1. „მზღვეველი“ - სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას;
- 1.2. „დამზღვევი/დაზღვეული“ - იურიდიული პირი, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში და იხდის შესაბამის პრემიას;
- 1.3. „დამზღვევის თანამშრომელი“ - შრომითი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც დამზღვევთან არსებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, დამზღვევისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.
- 1.4. „მესამე პირი“ - პირი, რომელსაც დამზღვევის/დაზღვეულის მიერ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალების მართვისას მიაღდა ზიანი წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების შესაბამისად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად და რომელიც ამავე ხელშეკრულება/პირობების თანახმად წარმოადგენს მოსარგებლეს, იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას; მესამე პირად არ ითვლება უფლებამოსილი მძღოლი ან/და დამზღვევის თანამშრომელი/მომსახურების ხელშეკრულებით დაკავშირებული პირი;
- 1.5. „დამზღვევის საქმიანობა“ - დამზღვევის/დაზღვეულის საქმიანობა, რომელიც მოიცავს სატრანსპორტო საშუალების, კერძოდ ელექტრო მოპედების გაქირავებას მობილური აპლიკაციის მეშვეობით - დროებითი სარგებლობის უფლებით, გადაადგილების მიზნით, უფლებამოსილი მძღოლისთვის სამართავად გადაცემას;
- 1.6. სატრანსპორტო საშუალება/ მოპედი - სადაზღვევო პოლისში ან/და მის დანართში (დაზღვევის განაცხადი-ანკეტა) მითითებული ორ-ან სამთვლიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე არ აღემატება 45 კმ/სთ-ს და შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა არ აღემატება 50 სმ3-ს, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე - 4 კვტ-ს. მოპედთან გათანაბრებულია კიდულძრავიანი ველოსიპედი და მსუბუქი კვადროციკლი.
- 1.7. „სადაზღვევო თანხა/პასუხისმგებლობის ლიმიტი“ - სადაზღვევო პოლისში მითითებული, მხარეთა შეთანხმებით დადგენილი თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დადგენილია მოსარგებლისათვის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო

- შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა; პოლისით / ხელშეკრულებით შეიძლება დადგენილი იყოს პასუხისმგებლობის წლიური ლიმიტი, ასევე ლიმიტი ერთ შემთხვევაზე;
- 1.8. „უფლებამოსილი მძღოლი“ - დაზღვევის თანამშრომლის/მომსახურების ხელშეკრულებით დაკავშირებული პირის გარდა ნებისმიერი პირი, რომელიც დამზღვევისგან ქირაობს სატრანსპორტო საშუალებას, აქვს მისი მართვის უფლება, დამზღვევის უფლებამოსილი წარმომადგენლისგან ან აპლიკაციის მეშვეობით მიღებული აქვს მისი მართვის შესაბამისი ინსტრუქცია და რომლის ასაკობრივი ზღვარია 18–65 წლამდე;
  - 1.9. „სადაზღვევო პერიოდი“ - პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ძალაშია დაზღვევა;
  - 1.10. „სადაზღვევო რისკი“ - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;
  - 1.11. „სადაზღვევო ანაზღაურება“ - ანაზღაურება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე მზღვეველის მიერ გაიცემა მოსარგებლეზე;
  - 1.12. „მიყენებული ზიანი, ზარალი“ - მატერიალური ზარალი, რომელიც მიადგა მესამე პირს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად;
  - 1.13. „სადაზღვევო შემთხვევა“ - დამზღვევის საქმიანობის ფარგლებში, დაზღვევის მოქმედების პერიოდში უფლებამოსილი მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე წარმოშობს მზღვეველის ვალდებულებას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
  - 1.14. „სადაზღვევო პრემია“ - სადაზღვევო პოლისში მითითებული დამზღვევის მიერ ერთჯერადად ან მზღვეველთან შეთანხმებული გრაფიკით ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადასახდელი დაზღვევის საფასური სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფისათვის;
  - 1.15. „დაზღვევის ტერიტორია“ - ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით და პოლისით გათვალისწინებული დაზღვევა. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების მიზნებისთვის დაზღვევის ტერიტორიად განისაზღვრება მხოლოდ თბილისი და მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული რუკით განსაზღვრული არეალი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოძრაობის არეალს.
  - 1.16. „მოძრაობის ზოლი“ - სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი გზა ან გზის ნაწილი საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. (არეალი/ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დამზღვევის მიერ მოწოდებული რუკების სახით, რომლის ცვლილებაც დასაშვებია დამზღვევის მიერ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მზღვეველისთვის მიწოდებული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე, მზღვეველის მხრიდან დადასტურების შემთხვევაში), ასევე გვერდულა, ქვეითთა ბილიკი, ქვეითთა ზონა, საცხოვრებელი ზონა, ველობილიკისა და ველოსიპედის მოძრაობის ზოლი, მხოლოდ საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმავე კანონის მოთხოვნათა დაცვით და სატრანსპორტო საშუალების მართვისას უფლებამოსილი მძღოლის მიერ ქვეითებისთვის გზის დათმობის პირობით და იმ შემთხვევაში, თუკი მოძრაობა საფრთხეს არ შეუქმნის ქვეითთა მოძრაობას;



- 1.17. „ფრანშიზა“ - სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, რომელსაც არ აანაზღაურებს მზღვეველი, გამოიქვითება ყოველი ანაზღაურების გაცემისას სადაზღვევო პოლისში მითითებული ოდენობით;
- 1.18. „სუბროგაცია“ - მოსარგებლისთვის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ მზღვეველის უფლება დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები სადაზღვევო შემთხვევის დადგომასი ბრალეული მხარისაგან/ზიანზე პასუხისმგებელი პირისგან, მათ შორის უფლებამოსილი მძღოლისგან;
- 1.19. „სხეულის დაზიანება“ - კიდურების ან ორგანოების ფუნქციის სრული ან ნაწილობრივი მუდმივი ან დროებითი მოშლა ან მათი ფიზიკური დაკარგვა (ამპუტაცია), რომელიც მოხდა სადაზღვევო შემთხვევიდან 3 თვის განმავლობაში და წარმოადგენს მის უშუალო შედეგს;
- 1.20. „ჯანმრთელობის დაზიანება“ - სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული მესამე პირის გარდაცვალება ან ჯანმრთელობის გაუარესება, რომელიც მოხდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევიდან 3 თვის განმავლობაში და წარმოადგენს მის უშუალო შედეგს;
- 1.21. „ქონების დაზიანება“ - მესამე პირის ქონების დაზიანება, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის უშუალო შედეგს;
- 1.22. „დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება“ - შემდეგი დოკუმენტების ერთობლიობა: წინამდებარე ხელშეკრულება/პირობები, დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადი-ანკეტა, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი და დამზღვევის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სადაზღვევო პოლისი (ასევე მისი დანართი, სადაც მიეთითება დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი).

## 2. დაზღვევის ობიექტი, სადაზღვევო შემთხვევა

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების თანახმად, დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის ქონებრივი ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია მის ვალდებულებასთან, კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით დადგენილი წესით აანაზღაუროს მესამე პირებისთვის სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი/ზარალი;
- 2.2. ერთი მიზეზის გამო დამდგარი რამდენიმე ზარალი, ასევე ერთი მიზეზის გამო წამოყენებული რამდენიმე მოთხოვნა განიხილება, როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა, იმ პირობით, რომ ყველა მოთხოვნის წამოყენება მოხდება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

## 3. სადაზღვევო ანაზღაურება

- 3.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების გათვალისწინებითა და მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურდება შემდეგი:
  - დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის/ჯანმრთელობის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული, მზღვეველთან წინასწარი წერილობით შეთანხმებული, მიზანშეწონილი ხარჯები;
  - მესამე პირის პრეტენზიებთან/მოთხოვნებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება პოლისში მითითებული ჯამური სადაზღვევო ლიმიტის 20% ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული;
  - მესამე პირისთვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;



- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი ფორმით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ მესამე პირი წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი შემდგომი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.
- 3.2. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს, მოიცავს შემდეგს: მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა: ა) სტაციონარული ან ამბულატორიული მკურნალობის ხარჯები; ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის, მედიკამენტების, საკვები დანამატების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ მესამე პირს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება; გ) მესამე პირის გარდაცვალების ან სრული მუდმივი შრომისუნარობის შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება სადაზღვევო შემთხვევამდე 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში მიღებული დოკუმენტურად დადასტურებული ხელფასი (შემოსავალი), არაუმეტეს ჯანმრთელობის დაზიანებისთვის გათვალისწინებული ქველიმიტის ოდენობისა. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი (მისი სამართალმემკვიდრე) ვერ ადასტურებს შრომის ანაზღაურების ოდენობას, სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება ყოველთვიური 400,00 (ოთხასი) ლარის ოდენობით 12 (ტორმეტი) თვის განმავლობაში. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების მიზნებისთვის შრომის ანაზღაურება მოიცავს ხელფასს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოკლებით.
- 3.3. თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგა და შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე, ჯამური სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, მზღვევლი აანაზღაურებს:
- ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობას, განადგურებული ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების (რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია) ღირებულების გამოქვითვით;
  - ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;
- 3.4. ერთი შემთხვევით გამოწვეული ზარალი/პასუხისმგებლობა განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად;
- 3.5. მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს;
- 3.6. პოლისში ქველიმიტის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა იზღუდება ამგვარი ქველიმიტის გათვალისწინებით;
- 3.7. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება გამოსაყენებელ ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში გამოსაყენებელი ლიმიტის წილის გათვალისწინებით.
- 3.8. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით დადგენილი წესით მხოლოდ მოსარგებლეზე ან/და მის მიერ სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილ პირზე;



- 3.9. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება სადაზღვევო პოლისის, დამზღვევის მიერ დასაბუთებული და მტკიცებულებით დადასტურებული საპრეტენზიო განაცხადის, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით განსაზღვრული და მზღვეველის მიერ, გონივრულ ფარგლებში დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა, გადაწყვეტილების მიღებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შემდეგ;
- 3.10. მზღვეველი უფლებამოსილია, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მიზნით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მეშვეობით ჩაატაროს ექსპერტიზა, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ან შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა ფაქტობრივი გარემოებების ან/და ზარალის ოდენობის განსაზღვრის/დადგენის მიზნით; ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება იმ მხარის მიერ რომლის მოთხოვნითაც ტარდება ექსპერტიზა;
- 3.11. შემთხვევის დადგომისას დამზღვევის/დაზღვეულის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენია დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც მზღვეველი ახორციელებს შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად ცნობას, კერძოდ:
- განაცხადი შემთხვევის შესახებ, მასში მოთხოვნილი ყველა ინფორმაციის მითითებით;
  - მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში სადაზღვევო პოლისის ასლი;
  - შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი შემთხვევის შესახებ;
  - უფლებამოსილი მძღოლის, რომელიც შემთხვევის დროს მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას, დამზღვევთან სატრანსპორტო საშუალების ქირაობის დამადასტურებელი დოკუმენტი/ქირავნობის ხელშეკრულება (მათ შორის დამზღვევის პროგრამული ბაზიდან ამონაწერი, რომელიც ადასტურებს ქირავნობის ფაქტს/სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობისთვის გადახდილი საზღაურის დამადასტურებელი ამონაწერი);
  - შემთხვევის დადგომისას, უფლებამოსილი მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის/სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა;
  - მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც მზღვეველმა უნდა განახორციელოს სადაზღვევო ანაზღაურების ანგარიშსწორება;
  - სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები მესამე პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმისა და ხასიათის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ;
  - ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები (მესამე პირის (დაზარალებული) გარდაცვალების შემთხვევაში);
  - დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის გაწეულ ხარჯებს;
  - კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც დაფიქსირებულია დამზღვევის/დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით; ხოლო, თუ გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი;
  - მზღვეველის მიერ, გონივრულ ფარგლებში, მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია (მათ შორის, საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია).

- 3.12. მზღვეველი უფლებამოსილია, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, თუკი წარმოდგენილი არ იქნება წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით განსაზღვრული და/ან მზღვეველის მიერ გონივრულ ფარგლებში დამატებით მოთხოვნილი, შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი დოკუმენტი; ამასთან, მოთხოვნილი დოკუმენტაცია მზღვეველთან წარდგენილ უნდა იქნეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 3.13. მზღვეველი უფლებამოსილია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, წინამდებარე პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოკვლევა-მოძიებაში ხელი შეუწყოს დამზღვევს, ასევე საჭიროების შემთხვევაში, მზღვეველი მოიძიებს ცნობებს იმ სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებში, რომლებსაც გააჩნიათ ინფორმაცია შემთხვევის გარემოებების თაობაზე; მას აგრეთვე უფლება აქვს თვითონ გამოიკვლიოს შემთხვევის დადგომის მიზეზები და გარემოებები;
- 3.14. მზღვეველი იღებს ვალდებულებას, მიიღოს გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ყველა აუცილებელი დოკუმენტის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და გადაწყვეტილების მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ან მოტივირებული უარი ანაზღაურების გაცემაზე (პატივსაღები მიზეზების არსებობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია, გაზარდოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადა).
- 3.15. მზღვეველი უფლებამოსილია გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ დაზღვეული რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

#### 4. გამონაკლისები

წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების თანახმად, სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება და ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- 4.1. ზიანის ანაზღაურების ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;
- 4.2. დამზღვევის/დაზღვეულის ან უფლებამოსილი მძღოლის გარდაცვალება ან მათი ჯანმრთელობისათვის/ქონებისთვის მიყენებული ზიანი;
- 4.3. იმ პირის გარდაცვალება ან სხეულის ან ქონების დაზიანება, რომელიც შემთხვევის დროს იმყოფებოდა სამსახურებრივ/შრომით ურთიერთობაში/მომსახურების ხელშეკრულებით დაკავშირებული იყო დამზღვევთან;
- 4.4. დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის ნათესავების გარდაცვალება ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი;
- 4.5. სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალების დაზიანება/განადგურება;
- 4.6. პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშვა დაზღვეული პირის ნებისმიერი სხვა კონტრაქტის, შეთანხმების საფუძველზე;



- 4.7. მესამე პირისთვის (დაზარალებულ) გადახდილი კომპენსაცია მესამე პირის (დაზარალებული) წინაშე აღებული ან აღიარებული პასუხისმგებლობა, თუ ამგვარი მოხდა მზღვევლის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 4.8. მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება ან მისი ქონებისთვის ზიანის მიყენება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;
- 4.9. მოთხოვნები იმ ზარალის გამო, რომელიც დადგა უფლებამოსილი მძღოლის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებებით სიმთვრალის მდგომარეობაში დ/ან მათი მიზეზით;
- 4.10. დამზღვევის/დაზღვეულის/ უფლებამოსილი მძღოლის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანით;
- 4.11. დამზღვევის/დაზღვეულის, მისი თანამშრომლების, მისი აგენტების, უფლებამოსილი მძღოლის ან სხვა პირების განზრახ, არაკეთილსინდისიერი ან დანაშაულებრივი ქმედება, ასევე ინფორმაციის/დოკუმენტაციის გაყალბების შედეგად დამდგარი ზიანი/ზარალი;
- 4.12. მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე გამოწვეულია ან გაუარესებულია სადაზღვევო პოლისში მითითებული სატრანსპორტო საშუალების გაუმართაობით, სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული დაზიანებით;
- 4.13. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რომელიც მიყენებულია დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
- 4.14. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რომელიც გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით;
- 4.15. ნებისმიერი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც გამოწვეულია ომით და საომარი მოქმედებებით, იმის მიუხედავად, გამოცხადებულია ომი თუ არა, სამოქალაქო ომით, აჯანყებით, ამბოხებით, სახალხო მღელვარებით, სამხედრო ფორმირებების ან ტერორისტების მოქმედებებით, სახელმწიფო ორგანოების განკარგულებით;
- 4.16. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რომლის მიზეზია ის გარემოებები, რომლებიც ზრდიდა რისკის ხარისხს და რომელთა აღმოფხვრის აუცილებლობაზე მიუთითებდა მზღვეველი, ხოლო დამზღვევის მიერ ვერ/არ მოხდა ამგვარი გარემოებების აღმოფხვრა მზღვეველის მიერ წერილობით განსაზღვრულ, გონივრულ ვადაში;
- 4.17. ნებისმიერი შემთხვევა, როცა დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის მხრიდან ადგილი ჰქონდა დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობების დარღვევას;
- 4.18. ნებისმიერი შემთხვევა, რომლის დადგომის დროს დამზღვევის მიერ დარღვეულია სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები;
- 4.19. ზარალი, რომელიც წარმოიშობა უფლებამოსილი მძღოლის მიერ „მომრავის ზოლის“ ფარგლებს გარეთ სატრანსპორტო საშუალების მართვისას.
- 4.20. ზარალი/ზიანი, რომელიც დადგა უფლებამოსილი მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის, მათ შორის 43-ე მუხლით დადენილი მოთხოვნების შეუსრულებლობით/დარღვევით (მათ შორის სპეციალური ჩაფხუტით მოძრაობის მოთხოვნის დარღვევა);
- 4.21. შემთხვევები, როდესაც დამზღვევი/მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველისათვის ზიანზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი მძღოლის ან მესამე პირის მიმართ სუბროგაციული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის/მოსარგებლის ქმედებით;

## 5. მხარეთა ვალდებულებები

### 5.1. დამზღვევი ვალდებულია:

- 5.1.1. რეგულარულად ჩაუტაროს პროფილაქტიკური შემოწმება სატრანსპორტო საშუალებას და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს იგი დაზღვევის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში;
- 5.1.2. დროულად შეაკეთოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება;
- 5.1.3. მიიღოს სიფრთხილის ყველა ზომა ზიანის ან ზარალის თავიდან აცილების მიზნით;
- 5.1.4. სატრანსპორტო საშუალების გაქირავებამდე დარწმუნდეს, რომ ამინდი შესაბამისია (მათ შორის საკმარისია ხილვადობა და არ არსებობს სატრანსპორტო საშუალების მართვის შემაფერხებელი ისეთი გარემოებები, რაც თანმდევი ნისლი, წვიმა, თოვლი ან სხვა ბუნებრივი მოვლენების დროს) სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისათვის;
- 5.1.5. შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ და არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა შეატყობინოს მზღვეველს შემთხვევის შესახებ, ასევე მის მიმართ/წინააღმდეგ მოთხოვნის წამოყენების შესახებ და მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობის და შესაძლო ზარალის ოდენობის განსაზღვრისთვის, მათ შორის ზიანის მიყენება, პრეტენზიის წაყენება ან სასარჩელო განცხადების წარდგენა; ასევე სრულად მიაწოდოს მზღვეველს ამასთან დაკავშირებული მისთვის ცნობილი ნებისმიერი ინფორმაცია;
- 5.1.6. გააცნოს უფლებამოსილ მძღოლს წინამდებარე პირობები, მათ შორის შემთხვევის დადგომისას ამავე ხელშეკრულება/პირობებით დადგენილი, უფლებამოსილი მძღოლის მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი მოქმედებები. გააცნოს უფლებამოსილ მძღოლებს წინამდებარე დაზღვევის პირობები. ამასთან, გაცნობა განხორციელდება მოპედით სარგებლობის აპლიკაციის მეშვეობით. აღნიშნული მიზნით დამზღვევი ვალდებულია იმგვარად უზრუნველყოს აპლიკაციით სარგებლობა, რომ დასტურდებოდეს უფლებამოსილი მძღოლის მიერ წინამდებარე დაზღვევის პირობების გაცნობა;
- 5.1.7. არ დაძრას სატრანსპორტო საშუალება შემთხვევის ადგილიდან მზღვეველისა და საპატრულო პოლიციის მისვლამდე, რათა შენარჩუნებული იყოს შემთხვევის პირვანდელი სახე, აღნიშნული ვალდებულება სრულად ვრცელდება უფლებამოსილ მძღოლზე, წინამდებარე პირობის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას ანაზღაურებაზე;
- 5.1.8. მზღვეველთან შეთანხმებით, შეინარჩუნოს შემთხვევის ადგილი პირვანდელ მდგომარეობაში, მზღვეველის მიერ მის დათვალიერებამდე და ფოტოგადაღებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, აღნიშნული ვალდებულება სრულად ვრცელდება უფლებამოსილ მძღოლზე;
- 5.1.9. წინამდებარე პირობების 5.1.5 პუნქტის შესაბამისად შეტყობინებიდან არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) საათისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი შემთხვევის შესახებ, ხოლო არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენა ვერ ხდება ობიექტური მიზეზით, შესაბამისი ორგანოებიდან) წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით განსაზღვრული, ანაზღაურებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი;



- 5.1.10. წერილობითი განაცხადი უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას ზიანის მიყენების გარემოებების შესახებ, რომელიც ცნობილია დამზღვევისთვის შეტყობინების მომენტისთვის (ზიანის მიყენების სავარაუდო პერიოდი, დრო და ადგილი, სავარაუდო მიზეზები, მიყენებული ზარალის ხასიათი, უფლებამოსილი მძღოლის მონაცემები, სახელწოდება, პირადი/საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით, შემთხვევაში/მოვლენაში ჩართული პირების სახელები და მისამართები), აგრეთვე მზღვევლის მიერ მოთხოვნილი სხვა დამატებითი, გონივრული ინფორმაცია, შემთხვევასთან დაკავშირებით;
- 5.1.11. დროულად შეატყობინოს მზღვეველს მესამე პირის დაზიანებული ქონების დათვალიერების/ექსპერტიზის ჩატარების დრო და ადგილი (მის შეკეთებამდე);
- 5.1.12. უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, მზღვევლის მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს;
- 5.1.13. საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს მზღვეველს ან მის მიერ მითითებულ პირს შემდეგი უფლებები:
- წარმოადგინოს დამზღვევი/დაზღვეული პირი სასამართლო პროცესში, ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) და მორიგების უფლების ჩათვლით;
  - აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან (დაზარალებულთან) და მათ წარმომადგენლებთან.
- 5.1.14. მზღვევლის წერილობითი თანხმობის გარეშე არ აღიაროს მესამე პირის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე, არ აიღოს ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება და არ აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 5.1.15. უზრუნველყოს, რომ უფლებამოსილი მძღოლი აკმაყოფილებდეს წინამდებარე პირობებით დადგენილ კრიტერიუმებს მოპედების გაზიარების აპლიკაციაში რეგისტრაციისას.
- 5.1.16. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, შემოღებულ იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისა და მისი მართვისთვის სპეციალური მოწმობის საჭიროება, დამზღვევი ვალდებულია, განახორციელოს ამგვარი მოთხოვნის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტების/ინფორმაციის (მათ შორის მოპედის რეგისტრაციის მოწმობა) მიწოდება მზღვევლისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ამასთან, რეგულაციების ძალაში შესვლის შემდეგ თუკი შემთხვევა დადგა იმ პირის მიერ, ვინც არ ფლობს ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის შესაბამის მოწმობას, ან შემთხვევა დამდგარია იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით, რომელიც არ არის რეგისტრირებული, შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
- 5.2. მზღვეველი ვალდებულია:
- 5.2.1. დამზღვევზე გასცეს დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 5.2.2. აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოშობილი ზარალი/ზიანი წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების შესაბამისად;

## 6. დაზღვევის და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 6.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 01/04/2021-დან 01/04/2022-მდე; ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლის(ებ)ის მოქმედების ვადის შესაბამისად;
- 6.2. დაზღვევის მოქმედების ვადა განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით.
- 6.3. სადაზღვევო პოლისი ძალაში შედის დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ერთჯერადი ან პირველი სადაზღვევო შესატანის გადახდის მომენტიდან.
- 6.4. დაზღვევის მოქმედება იწყება პოლისის გაცემის დღის 24:00 საათიდან და მთავრდება პოლისში მითითებული დაზღვევის დასრულების დღის 24:00 საათზე.
- 6.5. დაზღვევა შეწყდება:
  - 6.5.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
  - 6.5.2. ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შედეგად;
  - 6.5.3. სადაზღვევო თანხის ამოწურვის შედეგად;
  - 6.5.4. სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტის შემთხვევაში;
  - 6.5.5. თუ დაზღვეულმა ობიექტმა შეწყვიტა თავისი არსებობა სადაზღვევო შემთხვევისაგან განსხვავებული მიზეზით;
- 6.6. დამზღვევის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების (ასევე მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისის) ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პატივსაღები მიზეზების არსებობისას ან კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში. დამზღვევი ვალდებულია, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე ერთი თვით ადრე წარუდგინოს წერილობითი განცხადება მზღვეველს, ხოლო სადაზღვევო პრემიის ანგარიშსწორება მოხდება შემდეგნაირად: ა) ვადაზე ადრე შეწყვეტისას გადახდილი/გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება დაბრუნებას, გადახდილი/გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის 10%-ის გამოკლებით. ბ) თუკი სადაზღვევო პოლისის ფარგლებში, რომლის ვადაზე ადრე შეწყვეტა ხდება, განვლილი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება ან წამოყენებულია მოთხოვნა ანაზღაურებაზე, პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება გარდა წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წესებისა, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამოიყენება წინამდებარე პირობების მე-7 მუხლით დადგენილი წესები;
- 6.7. დაზღვევის პროლონგაცია შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით. მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას დაზღვევის პროლონგაციაზე (ვადის გაგრძელებაზე) ან შეცვალოს სადაზღვევო პრემია და პირობები შემდეგ შემთხვევებში:
  - გასულ სადაზღვევო წელს ზარალიანობის მაღალი მაჩვენებელი;
  - რისკის გაზრდა;
  - სადაზღვევო ბაზარზე ფასების ცვლილება.

## 7. სადაზღვევო პრემია. ანგარიშსწორების წესი

- 7.1. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე დამზღვევის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება ამავე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით;
- 7.2. სადაზღვევო პრემიის ოდენობა დგინდება მზღვეველის მიერ დაზღვევის ობიექტის სახეობის, მისი ღირებულების, რისკის ხარისხისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით;



- 7.3. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან;
- 7.4. სადაზღვევო პრემია შეიძლება გაიზარდოს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, თუ გაიზრდება რისკი, შეიცვლება დაზღვეული ავტოტრანსპორტის გამოყენების მიზანი;
- 7.5. თუკი დაზღვევის შესაბამისი პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ან მისი ნაწილის გადახდა ხორციელდება ინვოისის საფუძველზე, წინამდებარე პირობების ხელმოწერისთანავე მზღვეველის წარმომადგენლობაში, რაზედაც გაიცემა თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან/და მზღვეველის მიერ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვით (უნაღლო ანგარიშსწორება);
- 7.6. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება ის თანხა, რომელიც დამზღვევს განვადების პირობების მიხედვით, დარჩენილ პერიოდში აქვს გადასახდელი. ამ პუნქტის საფუძველზე ჩათვლილი თანხები ჩათვლება გადახდილი სადაზღვევო პრემიის ოდენობაში;
- 7.7. სადაზღვევო პრემიის ერთჯერადად ანგარიშსწორებისას, თუკი დაზღვევის მოქმედება წყდება ვადამდე, მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაუბრუნოს დამზღვევს გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული სადაზღვევო პოლისის ფარგლებში, რომლის გაუქმებაც ხდება ვადაზე ადრე, განვლილი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება, ან წამოყენებულია მოთხოვნა ანაზღაურებაზე ან დაზღვევის ვადამდე შეწყვეტა ხდება დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულება/პრობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო;
- 7.8. მხარეები თანხმდებიან, რომ სადაზღვევო პრემიის გადახდის თარიღთან და ოდენობასთან, ასევე, დავალიანების (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში) დაფარვასთან და მისი დაუფარველობის შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევთან კომუნიკაცია განახორციელოს დამზღვევის მიერ დაზღვევის განაცხად-ანკეტაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ისე ელ. ფოსტის მისამართზე, ტექსტური/წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით და აღნიშნულ კომუნიკაციას ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც ქალაქის მატარებელზე განხორციელებულს.
- 7.9. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესების დარღვევა:
- 7.9.1. „დამზღვევის“ მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში „მზღვეველი“ უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება „დამზღვევის“ მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. ამასთან, დავალიანების დაფარვის შემდეგ, თუკი დავალიანების წარმოშობის დღისა და დაფარვას შორის პერიოდი აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს (ან შესაბამისი პოლისით განსაზღვრულ ვადას), „მზღვეველი“ დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევებად და შესაბამისად უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 7.9.2. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს დაარიცხოს პირგასამტეხლო დავალიანების თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება იმ შემთხვევაში თუკი, დავალიანების ვადა აღემატება ორ კალენდარულ კვირას;
- 7.9.3. დავალიანების თაობაზე წერილობითი შეტყობინების (როგორც ელ. ფოსტის ასევე ქალაქის მატარებელზე) გაგზავნის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს ორი კალენდარული კვირისა) სადაზღვევო პრემიის დავალიანების



დაფარვისთვის, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და გააუქმოს მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლის(ებ)ი;

7.9.4. ხელშეკრულების/პოლის(ებ)ის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამზღვევს შეწყვეტის თარიღისთვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.

#### 8. შეტყობინება და ინფორმაციული უზრუნველყოფა

- 8.1. მხარეთა მიერ ერთმანეთის დაუყოვნებელი ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება ტელეფონის, ან/და კავშირის საყოველთაოდ აღიარებული სხვა საშუალებებით;
- 8.2. ინფორმაცია მიწოდებულად ჩაითვლება კონტრაგენტის ან/და ამ მიზნისათვის სპეციალურად უფლებამოსილი პირის ტელეფონის, ფაქსის ან/და კავშირის საყოველთაოდ აღიარებული სხვა საშუალებებით კონტაქტის დაფიქსირებით;
- 8.3. მხარეთა მიერ ერთმანეთის წერილობითი ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება დაზღვეული წერილის ან/და წერილობითი დოკუმენტის კონტრაგენტისათვის ან/და ამ მიზნისათვის სპეციალურად უფლებამოსილი პირისათვის პირადად ჩაბარებით;
- 8.4. სადაზღვევო პოლისის მიზნებისათვის დამზღვევის (მოსარგებლის, დაზღვეულის) მხრიდან საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის უფლებამოსილი პირის რეკვიზიტები მიეთითება განაცხადში;
- 8.5. სადაზღვევო პოლისის მიზნებისათვის მზღვეველის საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის გამოიყენება მისი წარმომადგენლობის ფაქტიური ადგილსამყოფელი ან/და მზღვეველის ასისტანსის სამსახური.

#### 9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებასთან და/ან სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### 10. განსაკუთრებული პირობები

- 10.1. სადაზღვევო პოლისით უზრუნველყოფილია მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება და მისი მოქმედება არ ვრცელდება მიუღებელ შემოსავალზე ან/და სხვა სახის ზიანზე.
- 10.2. დამზღვევის ვალდებულებები თანაბრად ვრცელდება დაზღვეულზე ან/და უფლებამოსილ მძღოლზე (შესაბამის ნაწილში);
- 10.3. თუ დამზღვევის (დაზღვეულის, უფლებამოსილი მძღოლის მოსარგებლის) ბრალით/მიზეზით მზღვეველის მიერ სუბროგაციის წესის გამოყენება შეუძლებელი გახდა, მზღვეველს უკან უბრუნდება სადაზღვევო ანაზღაურება იმ პირისაგან, ვინც ის მიიღო ან/და მზღვეველს უფლება ექნება უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;
- 10.4. მზღვეველის პასუხისმგებლობა შეზღუდულია სადაზღვევო თანხის ოდენობით, მიუხედავად სადაზღვევო პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების სიმრავლისა და მათი სიდიდისა;
- 10.5. თუ დამზღვევმა ან/და დაზღვეულმა/უფლებამოსილმა მძღოლმა განზრახ გამოიწვია სადაზღვევო რისკის გაზრდა, მზღვეველს შეუძლია გააუქმოს დაზღვევის პოლისი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისა და სადაზღვევო პრემიის დაბრუნების გარეშე, ყოველგვარი ვადის დაუცველად;



- 10.6. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა უნდა გაფორმდეს წერილობით, რომელიც ძალაში შევა მხარეების ან ამისთვის უფლებამოსილი პირების მიერ მისი ხელმოწერისთანავე. შესაბამისი წესით გაფორმებული ცვლილება ან/და დამატება თან ერთვის ხელშეკრულება/პირობებს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;
- 10.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას (ომი, სტიქიური უბედურება, მთავრობის აქტები ან/და სხვა ისეთი გარემოებანი, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე), მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით აცნობებენ ამის შესახებ ერთმანეთს; ასეთ შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულების შესრულება გადავადდება ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრამდე ან/და გამოსწორებამდე.
- 10.8. წინამდებარე ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს 1.16 პუნქტის შესაბამისად, მოძრაობის რუკები, ასევე დამზღვევის საიდენტიფიკაციო მონაცემები: (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წარმოადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ასლი და მინდობილობა თუკი ხელშეკრულებას ხელს აწერს მინდობილი პირი). ამ პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია ცვლილებების შესახებ და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტი.
- 10.9. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია კისრულობს, დაიცვას და არ გაახმაუროს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 10.10. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, დაიცვას და არ გაახმაუროს ამ ხელშეკრულება/პირობებთანთან დაკავშირებული ინფორმაცია, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 10.11. მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობები განთავსდება ასევე ელექტრონულად, მზღვეველის შემდეგ ელექტრონულ ვებ გვერდზე [www.euroins.ge](http://www.euroins.ge);
- 10.12. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობები შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს და გადაეცემა მხარეებს.

#### 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

##### მზღვეველი

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“  
მისამართი: ილო მოსაშვილის ქ. #24, 0162  
ქ. თბილისი, საქართველო  
სკ: 204491344  
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“  
ბანკის კოდი: UGEBGE22  
ა/ა: GE87VT7000000048083608

ლერი პეტრიაშვილი

კომერციული დირექტორის მოადგილე

##### დამზღვევი:

შპს „მერკური“  
ს.ცინცაძის ქ.#43 ბ. 4ა  
ქ. თბილისი, საქართველო  
სკ: 405372779  
სს „საქართველოს ბანკი“  
ბანკის კოდი: BAGAGE22  
ა/ა: GE62BG0000000162381865

გიორგი ქოივაძე

დირექტორი

